

## წალკის წყალსაცავის თანამედროვე მდგომარეობა

თათია თავიდაშვილი

ელ-ფოსტა: [tatia.tavidashvili437@ens.tsu.edu.ge](mailto:tatia.tavidashvili437@ens.tsu.edu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი, 0179 საქართველო

წალკის წყალსაცავი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყალსაცავია საქართველოში, იგი სეზონური დანიშნულებისაა და მასზე დამოკიდებულია ორი ჰესის ხრამჰეს 1 და ხრამჰეს 2-ის ფუნქციონირება. ამ ჰესების ეფექტური მუშაობისათვის წალკის წყალსაცავის თანამედროვე რეჟიმის შეფასება მეტად აქტუალურია.

ნაშრომში განხილულია წალკის წყალსაცავის შექმნის პერიოდიდან დღემდე როგორც მასში მიმდინარე ჰიდროლოგიური პროცესები, ასევე მიმდებარე გარემოზე ზემოქმედების საკითხები. ნაშრომში სათანადო ყურადღება ეთმობა ქვაბულის გეოგრაფიული და გეოლოგიური მდგომარეობას, შენაკადებს, ტერიტორიის რეკრეაციულ გამოყენებას. განხილულია აგრეთვე, წყალსაცავის ტემპერატურული რეჟიმი, მიმდებარე აგროეკოსისტემების ნიადაგურ-გეოქიმიური ლანდშაფტები, წყლის ხარისხი, წყლის ხარისხის ფორმირების პირობები და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების თავისებურებანი. მოცემულია წყალსაცავის წყლის ხარისხის შენარჩუნების, რეგულირებისა და პროგნოზირების ახლებური მეთოდები, რომელიც ხელს უწყობს წყალსაცავის რაციონალურ და კომპლექსურ გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების პრაქტიკულ გადაწყვეტას. ყოველივე ამის მიზანია წალკის წყალსაცავის კომპლექსური კვლევა, რათა დავიცვათ გარემო და შევინარჩუნოთ ეკოლოგიური წონასწორობა.